აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება №19 (22 /23)
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანების მე-8 მუხლის პირველი ნაწილის "ტ" ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. დამტკიცდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მინიჭების წესი თანდართული ფორმით.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსების გზით. გამოქვეყნება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე, რექტორი: პროფესორი როლანდ კოპალიანი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მინიჭების წესი

მუხლი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მინიჭების წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში „საპატიო დოქტორის“ მინიჭების პირობებს.

მუხლი 2.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაწესებულ საპატიო წოდებას.

მუხლი 3.

3.1. საპატიო დოქტორის წოდება შეიძლება მიენიჭოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს:

ა) დოქტორის ხარისხის მქონე პირს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, აკადემიურ განათლებასა და სამეცნიერო კვლევის განვითარებაში გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის;

ან

ბ) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზაციული მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარებაში, საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებაში, საზღვარგარეთ საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენაში, უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაში აქტიური მონაწილეობისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობის მეცნიერული მიღწევისათვის, დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

მუხლი 4.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 5.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მინიჭების შესახებ წარდგინება და გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მოთხოვნას მაინც.

მუხლი 6.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მინიჭებაზე პირის წარდგენა ხდება ამ პირის სიცოცხლეში.